საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ეკო გრინ სფეის"-ი, ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა ფოთში გეგმავს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას.

ჩვენს მიერ დაგეგმილი საქმიანობა განეკუთვნება, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" პირველი დანართის მე-16 პუნქტითა (სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება) და ამავე კოდექსის მე-2 დანართის 10.2 პუნქტით (ნარჩენების განთავსება) გათვალისწინებულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

იქიდან გამომდინარე, რომ შპს „ეკო გრინ სფეის"-ის მიერ დაგეგმილია როგორც არასახიფათო ისე სახიფათო ნარჩენების განთავსება (ინსინერაცია), რომლებიც განადგურებას დაექვემდებარება ერთი და იგივე ინსინერატორში, ერთი და იგივე ტექნოლოგიით, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია ტექნოლოგიურად ერთიდაიგივე საქმიანობაა, ამიტომ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის გათვალისწინებით მომზადდა საერთო სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

- სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს (განთავსების ოპერაციის კოდი D10) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელ ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD.

პატივისცემით,

თორნიკე ბასილაია

შპს „ეკო გრინ სფეის"-ის დირექტორი

№ 1704
"03" 02 2022
1 CD